სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება # 64

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	თბ „გარდასახვა“ - თბ „ავჭალა“		
გუნდი	თბ „ავჭალა“	შეჯიბრი	რეგიონალური ლიგა
მატჩის თარიღი	22/03/2025	მატჩის ადგილი	თბილისი, რაგბი პლატო
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი		დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	თბ „ავჭალა“		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მატჩის მეთვალყურე - გია ჯავახიშვილი;	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - დანართი #3: ფიქსირებული სანქციები, 1. სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მიერ წინასწარ დანიშნულ მატჩში მონაწილე, რომელიმე და/ან ორივე, გუნდის თამაშზე არ გამოცხადება საპატიო მიზეზ(ებ)ის გარეშე და/ან სრკ-ს საშეჯიბრო დებულების 7.1 (მატჩზე 12-ზე ნაკლები მოთამაშით გამოცხადება) პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა.	☐ წითელი ბარათი ☐ საითინგი ☒ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ : მატჩის მეთვალყურის, გია ჯავახიშვილის მატჩის ოქმი;	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	26/11/2024	**განხილვის ადგილი**	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია		
დამრღვევის დასწრება	☒ **კი** ☐ **არა**	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მეთვალყურის, გია ჯავახიშვილის მატჩის ოქმი;		

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მეთვალყურის, გია ჯავახიშვილის მატჩის ოქმი;

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

„ავჭალა“-ს წერილი(ელ.ფოსტა) - გაცნობებთ რომ თამაშზე მართლაც გვაკლდა ბევრი მოთამაშე ჯანმრთელობის გამო. რისი ცნობების აღებაც მოკლე პერიოდში ვერ მოვასწარით, მაგრამ ერთი კვირის განმავლობაში წარვადგენთ რაოდენობას. მიუხედავად ამისა საკმარისი რაოდენობა 12-13 კაცი მაინც ვახერხებდით მოგრივებას. თამაშის გადაწევა მოვითხოვეთ ნახევარი საათით რადგან რამოდენიმე მოთამაშეს აგვიანდებოდა რეგიონიდან ჩამოსვლა და ამის ოფიციალური მოთხოვნის საშუალება ,როგორც ჩვენთვის ცნობილი არის ოფიციალურად შესაძლებელია. როგორც მივხვდი ამ ფაქტმა გააღიზიანა მატჩის კომისარი.განაცხადის შევსების დროს მოითხოვა მოთამაშეების "კარტოჩკები", რაც იმ მომენტში არ გვქონდა თან. თამაშების 99%-ში კარტოჩკების მოთხოვნა არ ხდებოდა და გამოგვრჩა თამაშზე მიტანა. კომისარის მხრიდან გარკვევით იყო ნათქვამი, რომ კარტოჩკების გარეშე ვერ შევძლებდით თამაშს. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგე გუნდიც და მსაჯებიც ყველა თანახმა იყო, რომ გვეთამაშა. შესაბამისად აზრიც აღარ ჰქონდა დალოდებას მოთამაშეებზე და ფაქტობრივად ამხანაგური თამაში მაინც ვითამაშეთ ერთმანეთში. თხოვნის მიუხედავად არ გაითვალისწინა და ისიც დასძინა რომ ჩვენნაირი გუნდები - ლაშარი და ივერიელი, ყველაფრის ღირსები ვართ. ამიტომ შეგვექმნა წარმოდგენა, რომ პირადი სუბიექტური შეხედულებებით მიიღო გადაწყვეტილება.

ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. 22/03/2025 სრკ-ს საშეჯიბრო სამსახურის მიერ დანიშნული იყო რეგიონალური ლიგის მატჩი თბ „არაგველები“-სა და თბ „ავჭალა“-ს შორის.
2. მატჩის მეთვალყურის, გია ჯავახიშვილის მატჩის ოქმის მიხედვით (ციტირება) - თამაში არ შედგა თბ „ავჭალა“-ს გუნდს არ ყავდა საკმარისი მოთამაშეები. არ ჰქონდა მოთამაშის ბარათები.
3. თბ „ავჭალა“-ს მხარემ (ვახტანგ კაშია) სადისციპლინო კომისიის სხდომაზე ვერ წარმოადგინა თამაშზე მოთამაშეთა არასაკმარისი რაოდენობით გამოცხადების საპატიო მიზეზები.

მსჯელობა

სადისცპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის და მსჯელობის შემდეგ დადგენილად ცნო თბ „ავჭალა“-ს მიერ სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - დანართი #3-ს ფიქსირებული სანქციები: პირველი პუნქტის დარღვევა.

სადისციპლინო კომისია განმარტავს - მატჩზე გუნდის არ გამოცხადების ფაქტს აფიქსირებენ მატჩის ოფიციალური პირები - ამ შემთხვევაში მატჩის მეთვალყურე. ხოლო გუნდის თამაშზე არგამოცხადების საპატიო მიზეზები, სადისციპლინო კომისიის სხდომაზე არგამოცხადებული გუნდის მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში თბ„ავჭალა“-მ ვერ წარმოადგინა კომისიის სხდომაზე რაიმე საპატიო მიზეზი.

კომისიამ მხედველობაში მიიღო თბ „ავჭალა“-ს მიერ სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - დანართი #3-ს (ფიქსირებული სანქციები) პირველი პუნქტის დარღვევის მეორე შემთხვევა. ამავე პუნქტის მიხედვით - **„გუნდის მიერ ზემოაღნიშნული დარღვევის განმეორების შემთხვევაში გუნდი ავტომატურად მოიხსნება შეჯიბრებიდან და მისი შემდგომში სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში მონაწილეობის საკითხი გახდება სრკ-ს შესაბამისი სტრუქტურების განხილვის საგანი.“**

ზემოთმოყვანილი დადგენილი მოცემულობების მიხედვით, კომისიამ მიიღო

გადაწყვეტილება

1. თბ „ავჭალა“-ს მოიხსნას რეგიონალური ლიგის 2024-2025 წლის სათამაშო სეზონის შეჯიბრებიდან.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	31/03/2025

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**